საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/07/2025

MES 1 25 0000856910

გადაწყვეტილება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პ როგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის №220714 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება №391765; 08/04/2025) საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება,

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2032 წლის 27 ივნისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 27 ივნისის სხდომის №856841 ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- პროგრამის საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გზაა დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაზრდა, განსაკუთრებით

გარემოსდაცვითი კონსულტაციების, იმ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სექტორების წარმომადგენლებთან, რომლებიც კურსდამთავრებულებს ასაქმებენ. რეკომენდებულია, ამ პარტნიორობის ფორმალიზება სტაჟირების, მენტორობის პროგრამებისა და საკონსულტაციო საბჭოების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო გეგმის შემუშავებაში. (სტანდარტი 1.1);

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებისა და სასწავლო გეგმის შინაარსის გადახედვა, რათა უფრო მკაფიოდ უპასუხოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრების მიმდინარე და ახალ მოთხოვნებს, სპეციალიზებული, მოწინავე მოდულების ინტეგრირებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), დისტანციური ზონდირება და მონაცემთა მეცნიერების გამოყენება ეკოლოგიაში. (სტანდარტი 1.1);
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების გაფართოება და სტრატეგიულ შესაბამისობაში მოყვანა, რათა მოიცავდეს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს, Erasmus+ პარტნიორობების, ასევე ერთობლივი ხარისხის პროგრამებისა და სხვა გლობალური აკადემიური კოლაბორაციების აქტიური განვითარების გზით. (სტანდარტი 1.1);
- რეკომენდებულია, რომ მომავალ სტუდენტებს ნათლად მიაწოდოთ ინფორმაცია პროგრამის მიზნების, მოლოდინების და სწავლის შედეგების შესახებ. ამის გაკეთება შესაძლებელია პროგრამის დეტალური სახელმძღვანელოებით, საორიენტაციო შეხვედრებითა და საინფორმაციო ვებინარებით. პროგრამის მიზნის შესახებ სტუდენტთა 6 სათანადო ინფორმირებულობა, დაეხმარება მათ რომ უფრო ეფექტიანად ჩაერთონ სწავლის პროცესში და უკეთ ესმოდეთ თუ როგორ ერგება აღნიშნული პროგრამა ფართო გარემოსდაცვით და საზოგადოებრივ მიზნებს. (სტანდარტი 1.1);
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ამ შედეგების კომუნიკაცია არასაკმარისია. რეკომენდებულია, გამჭვირვალობის, სტუდენტების ჩართულობისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამამ აკადემიური გზის დაწყებისთანავე მიმართოს უფრო სტრუქტურირებულ და პროაქტიულ საკომუნიკაციო სტრატეგიას. (სტანდარტი 1.2.);
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების/სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამის ყველა სწავლის შედეგი შემუშავებული იყოს სამ დონეზე (1 = შესავალი; 2 = გაღრმავება; 3 = განმტკიცება); (სტანდარტი 1.3);
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში მოწინავე და ახალი თემების ინტეგრირება ისეთი სპეციალიზებული კურსებისა და გამოყენებითი მოდულების ჩართვით, რომლებიც ასახავს აქტუალურ ტენდენციებსა და თანამედროვე ეკოლოგიის მიმდინარე გამოწვევებს. (სტანდარტი 1.4.);
- რეკომენდებულია, დარგის პროფესიონალებისა და პრაქტიკოსების პროგრამაში ჩართვა მოწვეულ ლექტორებად, ვორქშოფებითა და კოლაბორაციული კურსების შემუშავებით, რათა უზრუნველყოთ , რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან თავიანთი ცოდნის რეალურ სამყაროში გამოყენებასა და მიმდინარე შრომის ბაზრის მოლოდინებზე. (სტანდარტი 1.4.);
- რეკომენდებულია ისეთი კურსების გადახედვა და სავალდებულო კურსების ნაცვლად, არჩევით კურსებად კლასიფიკაცია, როგორიცაა „გარემოს შეფასება და მენეჯმენტი“, „საინჟინრო ეკოლოგია“ და „ანთროპოგენური ურბანული გარემო“. (სტანდარტი 1.4.);
- რეკომენდებულია, პროგრამის გაძლიერება ეკოლოგიის ძირითად სფეროსთან შესაბამისი სავალდებულო კურსების დამატებით, როგორიცაა მცენარეთა ეკოლოგია, ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, საქართველოს დაცული ტერიტორიები და სხვა კურსები, რომლებიც შეესაბამება ეკოლოგიის სფეროს ISCED-2013-ს, სწავლის სფეროების ეროვნულ კლასიფიკატორს და ეკოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (EQE, 2024). (სტანდარტი 1.4.);

- რეკომენდებულია ჰიპოთეზის ფორმულირების უნარი (რაც კრიტიკულია ანალიტიკური ან კვლევითი მიდგომის განვითარებისთვის) გაიწეროს კონკრეტულ კურსებში, ისე, რომ ნათლად წარმოდგეს შემდეგი შედეგი: „შეუძლია ეკოლოგიური მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და მათი დასაბუთება“, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შედეგებში მკაფიოდ აისახოს დასმული პრობლემის „ჰიპოთეზად ჩამოყალიბება“ და მისი ტესტირების პროცესი; ამასთან სასწავლო კურსების პრაქტიკულ ამოცანებში (სამუშაოებში) დაინერგოს აქტივობები, სადაც სტუდენტი არამხოლოდ აღწერს და აანალიზებს, არამედ გამოთქვამს ვარაუდს/ჰიპოთეზას, გეგმავს მის ტესტირებას და აყალიბებს დასკვნებს. (1.5 კომპონენტი)
- მიზანშეწონილია კურსის სწავლის შედეგების მოდიფიკაცია. რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსი „ზოგადი ეკოლოგია“ მისი შინაარსის შესაბამისი სწავლის შედეგების ფორმულირებით. (1.5 კომპონენტი);
- გადასამუშავებელია სასწავლო კურსი „ეკოლოგიური სამართალი“ სასწავლო კურსის სახელწოდებისა და ძირითადი ლიტერატურის ცვლილებით, კურსის შინაარსის ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების დაცვის საკითხებზე ორიენტირებულობით. (1.5 კომპონენტი);
- რეკომენდებულია საველე პრაქტიკის შინაარსი უზრუნველყოფდეს ისეთი სასწავლო კურსებით მიღებული თეორიული ცოდნის უნარებში ტრასფორმაციას, როგორიცაა პოპულაციების ეკოლოგია, მიკრორგანიზმების ეკოლოგია, ცხოველთა ეკოლოგია, მცენარეთა ეკოლოგია და ა.შ. (2.2 კომპონენტი);
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა ასახავდეს და მჭიდროდ უკავშირდებოდეს ეკოლოგიის კვლევის ობიექტებს, რომლის ჩამონათვალი მოცემულია ეკოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელში (2024). (2.2 კომპონენტი);
- რეკომენდებულია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მაგ., გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, ბუნების მსოფლიო ფონდი და ა.შ.) პარტნიორობის გაძლიერება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამამ სტუდენტები მოამზადოს გლობალური შრომის ბაზრისთვის. ასეთი პარტნიორობა სტუდენტებს გლობალურ გარემოსდაცვით პროექტებში სტაჟირების, კვლევითი თანამშრომლობისა და მონაწილეობის შესაძლებლობებს მისცემს. ასეთი პარტნიორობები ასევე დაეხმარება პროგრამას, რომ ფეხი აუწყოს გლობალურ გარემოსდაცვით ტენდენციებს, პოლიტიკასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს, პროგრამის დასრულების შემდეგ, მიღებული ექნებათ ყოვლისმომცველი და გლობალურად აქტუალური განათლება. (სტანდარტი 2.2.);
- პროგრამის კურიკულუმში გაკეთებული განაცხადიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების ასახვა და შესაბამისი სახით გამოყენება (სასწავლო აქტივობები, დავალებები და ა.შ) პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში. (კომპონენტი 2.3);
- რეკომენდებულია, სტუდენტების შეფასებასა და გამოყენებით სწავლებას შორის კავშირის გაძლიერება იმის უზრუნველყოფით, რომ საველე სამუშაოები, ლაბორატორიული სამუშაოები და პროექტზე დაფუძნებული დავალებები თანმიმდევრულად აისახოს შეფასების კომპონენტებში (სტანდარტი 2.4);
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების უკუკავშირის სტრუქტურირებული სისტემების დანერგვა, რათა სტუდენტებს მიაწოდოთ დროული და ქმედითი ინფორმაცია მათ ძლიერ აკადემიურ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებზე (სტანდარტი 2.4);
- რეკომენდებულია, რომ სტუდენტებმა მიიღონ მკაფიო ინფორმაცია თითოეული კურსის კომპონენტის, კრიტერიუმებისა და შეფასების ხვედრითი წილის შესახებ, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მოსალოდნელი ენობრივი კომეპტენციის შესახებ (სტანდარტი 2.4);

- რეკომენდებულია, ელექტრონული და დისტანციური სწავლების ფორმატებში სტუდენტების შეფასებების სანდოობისა და ვალიდურობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მეშვეობით (სტანდარტი 2.4)
- რეკომენდებულია, სტრუქტურირებული აკადემიური კონსულტირების ციკლების დანერგვა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს კონსულტაცია აკადემიური დაგეგმვის, ენის სწავლებისა და კარიერული განვითარების საკითხებში. (სტანდარტი 3.1)
- რეკომენდებულია, საერთაშორისო მობილობისა და სტაჟირების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის გაუმჯობესება, პროაქტიული ინფორმაციის მიწოდებისა და სპეციალიზებული საკონსულტაციო მხარდაჭერის გზით (სტანდარტი 3.1)
- რეკომენდებულია, ეკოლოგიის კვლევების პროფესიულ გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი კონსულტაციების გაწევა, განსაკუთრებით უფროსკურსელებისთვის (სტანდარტი 3.1)
- რეკომენდებულია, უსდ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ყოვლისმომცველი პორტფოლიო, რომელიც წარმოაჩენს ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს, კვლევით პროექტებს, ინდუსტრიულ თანამშრომლობას და მოწვეული პერსონალის პრაქტიკულ გამოცდილებას, მათ შორის დამსაქმებლებთან პარტნიორობას და საკონსულტაციო როლებს (სტანდარტი 4.1).
- რეკომენდებულია, კონკურენტუნარიანი კომპენსაციის პაკეტებითა და კარიერული განვითარების მკაფიო გზებით, მიზნობრივი დასაქმების ინიციატივების შემუშავება, რათა მიიზიდოთ ადრეული კარიერის მქონე აკადემიური პერსონალი (სტანდარტი 4.1).
- რეკომენდებულია, ფაკულტეტის ახალი წევრებისთვის კვლევითი სტარტაპებისთვის განკუთვნილი სახსრების გამოყოფა და სასწავლო დატვირთვის შემცირება (სტანდარტი 4.1)
- რეკომენდებულია, კონკრეტული სამიზნე ნიშნულებისა და ვადების განსაზღვრა ლიდერულ პოზიციებზე ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლების წარმომადგენლობის გაუმჯობესების მიზნით (სტანდარტი 4.1).
- რეკომენდებულია, გააუმჯობესოთ პერსონალისთვის შეთავაზებული პროფესიული განვითარების აქტივობები. (სტანდარტი 4.3)
- რეკომენდებულია, პერსონალის საერთაშორისო კოლაბორაციებისთვის მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის უცხოეთში კონფერენციების, კლვევითი გაცვლითი პროგრამების და ერთობლივი პროექტების დაფინანსება (სტანდარტი 4.3)
- რეკომენდებულია, შექმნათ თანამშრომლობითი კვლევითი კლასტერები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თაობათაშორისი ცოდნის გადაცემას და მენტორობას (სტანდარტი 4.3)
- რეკომენდებულია, რეგულარული შეფასების მეტრიკის დადგენა პერსონალის განვითარებისა და საერთაშორისო ჩართულობის პროგრესის მონიტორინგისთვის (სტანდარტი 4.3)
- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი ასახავდეს საკმარის ფინანსურ რესურსებს/ხარჯებს პროგრამის შემუშავებისთვის, მათ შორის პერსონალის განვითარებისთვის. (სტანდარტი 4.5)
- რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების პროცესს მოჰყვეს გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესებისთვის საჭირო ნაბიჯების განსაზღვრა, რაც აისახება თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამის პერსონალის ჩართულობით. (სტანდარტი 5.1)
- რეკომენდებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების როლის გაზრდა პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის და ამ პროცესში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. (სტანდარტი 5.1)
- რეკომენდებულია მხარდაჭერის სერვისებში სტუდენტების ჩართულობის რეგულარული მონიტორინგი და სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე პროგრამების მორგება. (სტანდარტი 5.1)

- რეკომენდებულია სტუდენტების მიერ კურსების შეფასების პროცესის გაუმჯობესება (სტანდარტი 5.3).
- რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი ცნობიერების ამაღლება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების შესახებ. (სტანდარტი 5.3)

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 ივნისიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 27 ივნისი.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული სააგენტო
ზზაბაჯღსმეღლა
ოლექტრონულად